



გერმანიის საგარეო პოლიტიკა და საქართველო

სილვია შტოზერი¹

საქართველო განაგრძობს პროგრესს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. 2014 წელს ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან და მიიღო არსებითი პაკეტი ნატოსგან. წელს კი, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ უვიზო მიმოსვლით შენგენის ზონის ქვეყნებთან. საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების შემხედვარე, მნიშვნელოვანია დეტალურად გავაანალიზოთ მისი ევროპელი პარტნიორების ხედვები. ამ მიმართულებით, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის მაგალითის განხილვა.

საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე გერმანია აღიქმება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეყანა ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრ-სახელმწიფოა სხვა ქვეყნებს შორის, მას აქვს დიდი გავლენა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და ნამდვილად შეიძლება უდიდესი როლი ითამაშოს საქართველოს ინტერესების დაცვაში.

¹ სილვია შტოზერი არის კორესპონდენტი, რომელიც მუშაობს სხვადასხვა გამოცემებისთვის, მათ შორისაა გერმანიის სახალხო მაუწყებელი „ARD“, შვეიცარული გაზეთი „Neue Zürcher Zeitung“, და გერმანული გაზეთი, „Tagesspiegel“.

თუკი საქართველოს სურს უკეთესი კონტაქტების დამყარება გერმანიასთან და მისი მხარდაჭერის მიღება, მაშინ, ცხადია, უნდა გავიგოთ მეტი გერმანიაზე და იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ გერმანელები საკუთარ თავს და გერმანიაში მიმდინარე მოვლენებს და, ასევე, თუ როგორ აფასებენ ისინი საქართველოს.

ეკონომიკისა და ფინანსური სფეროებისგან განსხვავებით, გერმანია არ არის განსაკუთრებით ცნობილი თავისი დიპლომატიური და სამხედრო ძალით. მაგალითად, საფრანგეთისგან, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთისგან განსხვავებით, გერმანია არ არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

ეს არის მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც დღესაც მოქმედებს გერმანელი ხალხის თვითშეგნებაზე. გერმანელებს, აგრეთვე, ახსოვთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ცივი ომის ეპიცენტრში. წარსულის გათვითცნობიერება არის მიზეზი იმისა, თუ რატომ იკავებს გერმანია თავს სამხედრო კონფლიქტებში ჩართვისაგან. ბევრი მოქალაქე გერმანული არმიის - „ბუნდესვერის“ - უცხო ქვეყნებში გაგზავნას ეწინააღმდეგება.

ისტორიული ფონი გარკვეულ მნიშვნელობას იძენს გერმანიის ურთიერთობაში რუსეთთან. ისეთმა პოლიტიკოსმა, როგორც არის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შროდერი, რომლის მამაც აღმოსავლეთ ევროპაში „ვერმახტის“ სახელით იბრძოდა, აღნიშნა, რომ გერმანელებს რუსი ხალხის მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ, რადგან გერმანულმა აგრესიამ ბევრი რუსი იმსხვერპლა მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა სხვა პოლიტიკოსებმა და ისტორიკოსებმა აღნიშნეს, რომ მსხვეპლნი იყვნენ არამხოლოდ რუსები, არამედ უკრაინელებიც, ბელორუსებიც, ქართველებიც და სხვა მრავალნი, ვინც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში წითელ არმიაში იბრძოდა.

ამ მძიმე ისტორიული პასუხისმგებლობის გამო აიღო გერმანიამ საკუთარ თავზე აღმოსავლეთ უკრაინაში მშვიდობის შეთანხმების მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებამ წარმატება მხოლოდ იმ კუთხით მოიტანა, რომ კონფლიქტი არ გასცდა არსებულ საზღვრებს. მეტიც, გერმანია ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო, რომელმაც რუსეთის მიმართ სანქციებს მყარად დაუჭირა მხარი.

დიპლომატიურ გზებთან ერთად, გერმანიის მთავრობამ გაგზავნა „ბუნდესვერის“ წარმომადგენლები ბალტიისპირეთში, რათა განახორციელოს საჭაერო მიმოსვლის

მონიტორინგი ბალტიის ქვეყნებში. ოფიციალურმა ბერლინმა, ასევე, ნატოს მისიის ფარგლებში, ლიტვაში [გაგზავნა](#) 500 სამხედრო მოსამსახურე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების უსაფრთხოების განმტკიცებას უზრუნველყოფს.

კანცლერი მერკელი - გარეთ პოპულარული, სახლში - კრიტიკის ქარცეცხლში

მიუხედავად კანცლერ ანგელა მერკელის მაღალი რეიტინგებისა საერთაშორისო ასპარეზზე, მისი რეიტინგი გერმანიაში ბოლო ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად დაეცა. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია როგორც მისი საგარეო, ასევე ქვეყნის შიგნით გატარებული პოლიტიკის მიმართ გერმანელი ხალხის უკმაყოფილებით.

საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა გამოკითხვა აჩვენებს, რომ გერმანელი ხალხი შეწუხებულია პოლიტიკოსების, ინსტიტუციებისა და მედიის მუშაობით, რადგან ისინი არ უთმობენ საკმარის ყურადღებას ხალხის საჭიროებებს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ძალაა და მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება, გერმანულ საზოგადოებაში მაინც არსებობს გავრცელებული უკმაყოფილება. სტაბილური, დაცული და ოპტიმიზმით აღსავსე ათწლეულების შემდეგ, ბევრი გერმანელისთვის გაურკვეველია მათი მომავალი. უკვე აღარავინაა დარწმუნებული, რომ შემდეგი თაობის ცხოვრება უკეთესი იქნება ვიდრე მისი წინამორბედის.

მეტიც, არსებობს უდიდესი გამოწვევა, რომელიც ერთ მილიონზე მეტი ადამიანის გერმანიის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში [ინტეგრაციას](#) შეეხება. ბევრი გერმანელის მხარდაჭერასთან ერთად, სირიელმა დევნილებმა გამოიწვიეს დიდი შეშფოთება გერმანულ საზოგადოებაში, რადგან 2015 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საზღვარზე [კონტროლის გარეშე](#) ბევრი ადამიანი ახერხებდა გერმანიაში შეღწევას. მათმა უმეტესობამ გერმანული ენაც კი არ იცოდა და რადიკალურად განსხვავებული კულტურის ნაწილი იყო.

ამას დაემატა ისიც, რომ 2015 წლის შემდეგ გაიზარდა რადიკალური მემარჯვენე, პოპულისტური პარტიის - „ალტერნატივა გერმანიისთვის“ - მხარდაჭერების რიცხვი, რომელმაც [ფედერალური შტატების არჩევნებში](#) 24 % მიიღო. ტერორისტების თავდასხმებმა ბელგიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში დიდი გავლენა იქონია ხალხში

დაუცველობის გრძნობის ჩამოყალიბებასა და ხალხის მხრიდან ქვეყნის იზოლირების პოლიტიკის მხარდაჭერაში.

მეტიც, გერმანელებში შესუსტდა სოლიდარობის გრძნობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხალხების მიმართაც. ერთსულოვნება ნატოსა და ევროკავშირში საფრთხეშია, განსაკუთრებით მას მერე, რაც დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტი გახდა და დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ასევე, ბევრი ფიქრობს, რომ თუკი მარინ ლე პენმა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაშინ ჩვენ ევროკავშირის დღევანდელი რეჟიმის დასასრულს ვიხილავთ.

თუმცა უარესი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც, რამდენიმე ევროპული ქვეყანა გაერთიანებულად დარჩენას ამჯობინებს და სამეზობლოში სანდო პარტნიორის საჭიროება გაჩნდება. ევროპის არცერთ ქვეყანას, გერმანიასაც კი, არ შეუძლია დაიცვას თავი იმ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ, როგორებიცაა მზარდი ჩინეთი, აგრესიული რუსეთი და არასტაბილური თურქეთი. თუმცა არსებობს იმედი, რომ ახლო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან შექმნის სტაბილურობას ევროპაში. ამის შედეგად, ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრა, როგორებიცაა მიგრაციის პოლიტიკა და ტერორიზმთან ბრძოლა, შედარებით გამარტივდება.

სანდო პარტნიორი სამეზობლოში

საქართველოს შეუძლია იყოს ევროკავშირისა და გერმანიის მნიშვნელოვანი პარტნიორი. მეტი ყურადღების მიპყრობისთვის, საქართველოსთვის და მისი მთავრობისთვის სასარგებლო იქნებოდა ქვეყნის სტაბილურობისა და სანდოობის კიდევ უფრო მეტად წარმოჩენა.

გერმანიაში, საქართველო ცნობილია, როგორც მიმზიდველი ტურისტული ადგილი გემრიელი სამზარეულოთი, საოცარი ბუნებითა და ჭარბი სტუმართმოყვარეობით. აღმოსავლეთ ევროპის მცოდნე ხალხისთვის კი საქართველო განიხილება, როგორც რუსეთის პატარა და რისკის ქვეშ მყოფი მეზობელი, რომელიც დახმარებას ითხოვს. თუმცა ვისაც 2008 წლის აგვისტოს ომი ახსოვს, ისიც იცის, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო ის, ვინც პირველმა გამოჰკრა ჩახმახს ხელი.

2016 წელს საქართველოს იმიჯი შეილახა, როდესაც გერმანელმა პოლიტიკოსებმა და გერმანულმა მედიამ (იხ.: [ბმული 1](#), [ბმული 2](#), [ბმული 3](#)) ქართველი კრიმინალური ორგანიზაციების შესახებ ცნობა გაავრცელეს. ამ ცნობებმა და განცხადებებმა განაპირობეს ვიზალიბერალიზაციის პროცესის გაჭიანურება, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ქართველთა ძალიან მცირე რაოდენობამ გაგზავნა გერმანიაში თავშესაფრის განაცხადი და, შესაბამისად, ცოტა იყო იმათი რაოდენობა, ვინც კრიმინალურ საქმიანობაში იყო ჩართული. ასევე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიმინალური დაჯგუფებები, ძირითადად, დასავლეთ ევროპიდანვე იმართება და არა საქართველოდან.

სხვა მხრივ, გერმანიის ხელისუფლებამ დააფასა საქართველოს მთავრობის სწრაფი რეაქცია, რომელმაც გერმანელ სამართალდამცველ სტრუქტურებთან თანამშრომლობით ბევრი კრიმინალი იპოვა და დააკავა. თანამშრომლობის ეს მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ ტრანსნაციონალურ კრიმინალთან, არალეგალურ მიგრაციასა და ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის შეთავაზებით, საქართველოს შეუძლია წარმოაჩინოს თავი, როგორც სანდო პარტნიორს ევროპის კართან. ამ სურათის წარმოჩენა პოზიტიურ გავლენას იქონიებს იმ საკითხებზე, რომლებიც ევროპელებს ამჟამად აწუხებთ.

2017 წლის მარტის დასაწყისში გაჩნდა [საკამათო თემა](#) საქართველოში მას შემდეგ, რაც [მედიაში გავრცელდა](#) ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სებასტიან კურცის განცხადება ევროკავშირის გარეთ დევნილთა ბანაკების განთავსებაზე. როგორც გაირკვა, აქამდე არ არსებობს მსგავსი სახის მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა და ავსტრიის ელჩმა საქართველოში, არად ბენკომ [განმარტეს](#). მსგავსი დევნილთა ბანაკები არ აშენდება საქართველოში ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ.

რეგიონის მცოდნე ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. ევროკავშირის პოლიტიკოსებმა შესაძლოა იკითხონ, თუ რა შეუძლია შესთავაზოს საქართველომ ევროპულ გაერთიანებას. ამ კითხვაზე პასუხი, შესაძლოა, საქართველოს მხრიდან მკაცრი საზღვრის დაცვის პოლიტიკაა, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისთვის.

ახალი პერსპექტივები ევროკავშირისთვის

უკნასკნელ პერიოდში ნაკლებად განიხილება ევროპაში ის ფაქტი, რომ საქართველო, დღესდღეობით, ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში (რუსეთის, ირანის, თურქეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩათვლით), რომელიც დემოკრატიისკენ ისწრაფვის და პროგრესირებს ისეთ სფეროში, როგორცაა კორუფციასთან ბრძოლა. ზოგ შემთხვევაში ის ევროკავშირის ქვეყნებსაც კი ჯაბნის. ეს საკთხი მნიშვნელოვანია, როდესაც გერმანიისთვის სანდო პარტნიორობის ამოცნობასთან გვაქვს საქმე. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ძალიან დააზარალებს, თუკი მისი მთავრობა [მედიის თავისუფლების](#) შეზღუდვას შეეცდება.

საქართველოს ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან, ქვეყანას აძლევს საშუალებას, რომ განავითაროს ეკონომიკური კონკურენცია და საცხოვრებელი პირობები თავისი მოქალაქეებისთვის, მაგალითად საკვების უსაფრთხოების რეგულაციების გამკაცრებით. თუმცა ასოცირების შეთანხმება და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში მონაწილეობა თავიდანვე ევროკავშირის წევრობის ალტერნატივა იყო და არ განიხილებოდა ევროკავშირის წევრობის პრეტექსტად.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის უამრავი უთანხმოებისა და გაფართოების თავშეკავების ფონზე, ნაკლებსავარაუდოა, რომ ორგანიზაციამ ახალი წევრი მიიღოს. ამასთან, ევროკავშირის კრიზისი ახალ შესაძლებლობებს აჩენს. კანცლერმა მერკელმა [ისაუბრა](#) „ევროკავშირის განსხვავებულ სიჩქარეებზე“, რაც გულისხმობს, რომ ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანას არ დაეკისრება ყველა ვადლებულების შესრულება, ამის შესაბამისად ეს ქვეყნები ვერ მიიღებენ ევროკავშირის ყველა სარგებელს.

ევროკავშირს უკვე აქვს სხვადასხვა სახის ინტეგრაციის სტრატეგიები. ამჟამად, 28 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 19 სარგებლობს ევროპული ვალუტით. ასევე, ევროკავშირის ყველა ქვეყანა არ არის შენგენის ზონის წევრი მაშინ, როცა არაწევრი ქვეყნები, შვეიცარია და ნორვეგია შენგენში შედიან.

საქართველოს გაძლიერება რუსეთის პროვოცირების გარეშე

არსებობს ბევრი კითხვა კიდევ ერთი დასავლური ალიანსის მიმართ. ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ნათელი, თუ რამდენად ჩაერთვება ნატოს საქმიანობაში ამერიკის შეერთებული შტატები ტრამპის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში.

ნატოს მომავლის მიუხედავად, გერმანელ პოლიტიკოსებს ისტორიული პასუხისმგებლობა აკისრიათ არამხოლოდ რუსეთის, არამედ მეტწილად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ. კანცლერმა მერკელმა თბილისში ვიზიტის დროს, 2008 წლის ომის შემდეგ [განაცხადა](#), რომ საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდება.

რადგან დღეს ნატოს წევრობა არ არის განხილვის საგანი, გერმანია ცდილობს ხელი შეუწყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, რომელიც ამავედროულად რუსეთის პროვოცირებას არ გამოიწვევს. საქართველოს თავდაცვის გაძლიერების სტრატეგია გაფართოვდა 2014 წელს ნატოს არსებითი პაკეტის მიღების შემდეგ, რის შედეგადაც გერმანია და საფრანგეთი საქართველოსთან ორმხრივად თანამშრომლობს.

ამას გარდა, გერმანია ხუთთვიან წვრთნებს [უტარებს](#) ქართველ მეზღოლებს, რომლებიც ჩრდილოეთ ავღანეთში, სწრაფი რეაგირების ძალებში ირიცხებიან „ბუნდესვერის“ დაქვემდებარებაში. როდესაც 2016 წლის ნოემბერში, მასარ შარიფში, ქართველმა მეზღოლებმა დიდი დახმარება გასწიეს თალიბანის თავდასხმის მოგერიებაში გერმანიის საკონსულოზე, მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა [დიდი მადლობა გადაუხადა](#) ქართველებს.

შტაინმაიერი ორჯერ ეწვია საქართველოს თავისი მინისტრობის დროს. მისმა შემცვლელმა ზიგმარ გაბრიელმა, რომელიც დღეს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის [მეგობრად](#) აღიქმება, [გამორიცხა](#) რუსეთზე სანქციების შეჩერება, თუკი მინსკის შეთანხმება ბოლომდე არ შესრულდება. გაბრიელის პირველ ვიზიტამდე მოსკოში, იგი უკრაინასა და პოლონეთს ეწვია.

ეს შეიძლება აღვიქვათ, როგორც გერმანიის მთავრობის სიგნალი, რომელიც პრივილეგირებული გავლენის ზონებს არ აღიარებს (რომელსაც რუსეთი ითვისებს მეზობლების სუვერენიტეტის დარღვევის ხარჯზე), არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს მერკელის ქრისტიან-დემოკრატიული მთავრობა თუ სოციალ-დემოკრატების მთავრობა.

მეტიც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარა 1991 წელს, და რომ 2017 წელს გერმანია და საქართველო კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობის 200 წლის იუბილეს აღნიშნავენ.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ვინც უნდა გაიმარჯვოს გერმანიის სექტემბერის საპარლამენტო არჩევნებში -ან საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში აპრილსა და მაისში- ყველა ევროპულ ქვეყანას ესაჭიროება სანდო და სტაბილური პარტნიორი საკუთარ სამეზობლოში. საქართველოს აქვს პოტენციალი, იყოს ზუტად ასეთი პარტნიორი.

- ❖ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

